



მეცნიერება



საქართველო-ქართო ლიტერატურული და მსაგვრობითი გაზეთი.

24 ნოემბერი

გამომცემი

№ 14

კვირამბით

1885 წელსა.

ფანსა „თეატრი“ -ის

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოკლება წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანვე სამი (3) მანეთი, მისში ერთი (1) მანეთი და მარამობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი (ცალკე ნომერა „თეატრი“-სა ღირს სამი (3) მანეთი. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრაქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მაიკებს:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. მგალობლის წიგნითან. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлис, Редакция „Театра“.

კორესპონდენტები და საზოგადოთ ნაწერები პრ-და-პირ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

ქართული
18



თეატრი
85

დღეს, კვირას,

24 ნოემბერი

ქართული დრამატული დასისთვის წარმოდგენილი იქნება:

I დამნაშავეის ოჯახი

ღრამა 5 მოქმ., თხზ. ჯიომკობიძისა.

II
სუსტი მხარე
პოდევლი 1 მოქმედ.
დასაწყისი 8 საათზე.

თეატრი და მსახიობნი (აქტიორები)

მკვდი, საშუალო და ახალი დრამისა


(შემდეგ *)

0 მკერატორი ძარლის მე IV ღროს მის-ტერზენგერებს სხვა-და-სხვა უფლებანი ჰქონდათ მინიჭებულნი. მე XV საუკუნე-ნიდამ ყველგან გავრცელებულმა მისტერიებმა ნე-

*) იხილეთ «თეატრი» № 9.

მეცებში და ფრანგებში სრულიად სხვა ხასიათი მიიღეს. რამდენიმე ამ ნაირ ნაწარმოებდავან ზემოხსენებულმა ხალხმა შეადგინა ერთი, რომელსაც მიცა როგორც მეტი აზრი, ისე სისრულეც. ამ ნაირ ციკლიკურ წარმოდგენებს, ნაცვლად რამდენიმე საათისა, უნდებოდა რამდენიმე დღე. წინანდელი პატარა ხარამობის მაგივრად, რომლებსაც საჭიროებისამებრ ხან აქცევდენ და ხან აშენებდენ ხოლმე, დაიწყეს თეატრების აშენება, რადგანაც პირველნი ველარ აკმაყოფილებდენ მათ.

პარიკის ერთ საზოგადო წიკნთ-საკეცში შენახულა ხელთ-ნაწერი, სახელად „Mystère de la Passion“. ამ ხელთ-ნაწერის თავში ეხედავთ დახატულს თეატრს, სადაც იმართებოდენ წარმოდგენები. ამ ნახატოვად სჩანს, რომ სამოთხე, ნახარეთი, ეკლესია, იერუსალიმი, სასახლე, ეპისკოპოსის სახლი, სამოთხის კარებზე და ჯოჯოხეთი რაგზედ ყოფილა გაწყობილი. პატარა ოთხ-კუთხს ადვილს ოქროს კარის წინ დატოვებულს ეძახდენ ზღვას და წარმოდგენდა ეხლანდელს ავან-სცენას. ამ სურათში სამოთხეს და ჯოჯოხეთს უჭირავთ თეატრის გვერდების ალაგი; ამისთანა განწყობილებას მარტო აქ ეხედავთ; საზოგადოდ სამოთხეს ეჭირა სცენის შუაგული. დიდი ხერელი სცენის წინ ნიშნავდა ჯოჯოხეთს. ამ ხერელიდამ ამოდოდენ ეშმაკები სცენის ძირიდან, იქიდან სადაც ძველი ბერძნების ხე-



რო იყო ხოლმე და ეხლა კი ორკესტრია. იმ დროის ქაჯები, რომელნიც ეხლანდელს კლოუნებს მოგვაგონებდნენ ყველა-ნაირ მოძრაობას (ევოლუციებს) აკეთებდნენ და, თუ საჭიროება მოითხოვდა, აღიონდნენ კიდევ სცენაზედ. მაყურებლები დაშორებულნი იყვნენ სცენისაგან ერთ-ნაირის ღობით (créneau) შბრალო წარწერა უჩვენებდა მოქმედების ალაგს. ქველა ნაირი მაშინები, თოკის კიბეები და საფრენი მაშინები თეატრის აუცილებელს საჭიროებას შეადგენდნენ.

თეატრის გამართულობა ყველგან ისეთი იყო, როგორც ზევით ვსთქვით. ღეკორაციების მაგივრათ ხან-დის-ხან უბრალო ფარდებს ხმარობდნენ, რომლებსაც ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე, როგორც სცენის სიღრმეში, ისე გვერდებზე. შესვლა-გამოსვლის დროს მსახიობი ასწევდა ხოლმე ფარდას. მსახიობნი მაშინაც კი თავიანთ დროის ტანისამოსს იცვამდნენ, როდესაც თამაშობდნენ შორეული ეპოქის პირებს, გარდა მხოლოდ მეფეებისა და მართალთა. ქაჯების როლი დიდ სიფარჯოვს აძლევდა მსახიობს ტანთ-საცმელის და გრიმის გაკეთებაში. შაჭიროვს ტანთ-საცმელს კუთვნილებას შეადგენდა გრძელი კუდი, რომელიც ძალიან უშლიდა თამაშს, რადგანაც ერთმანერთს ხშირად ადგამდნენ ხოლმე იმაზე ფეხსა. ამ ნაირად ქაჯების როლმა შეიტანა პიესაში კომიკური ელემენტი.

ამ გვარ წარმოდგენებში მონაწილეობის მიმღებ პირთ შეეძლოთ შეენახათ დახლში (კასაში) ან თითო ეკიუ, ან სრულიად არაფერი. შემოსავალს ორ-ნაწილად ჰყოფდნენ; ერთს იღებდნენ ის მსახიობნი, რომელნიც მონაწილენი იყვნენ წარმოდგენის ხარჯში და მეორეს დანარჩენები. მასის შემოსავალი შესდგებოდა მონაწილეთა შემოტანილის ფულისაგან, მუნიციპალიტეტისაგან და მაყურებლებთაგან. ხარჯში მონაწილეობის მიმღებნი მსახიობნი, ფიცს აძლევდნენ მიეღოთ ყველა ნაირი მონაწილეობა; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ელოდათ ან ციხეში ჩასმა, ან ჯარიმა. მინც რეპეტიას (re-cors) დაკლდებოდა, ისიც ჯარიმას იხდოდა. ჩუმად მოთამაშე პირებს (ფიგურანტებს) ეძლეოდათ თითო წარმოდგენაში ექვსი დენიე, ანუ თითო ლიარი.

(შემდეგი იქნება)

კითხვა-პიჯება



უღბულო! რატომ აღარ სტვენ?
 მარდი შენს მღერას ელისო!
 — რალა და როგორ ვიმღერო;
 შხამი მაშინებს გველისო.

* * *

პოეტო! რატომ აღარ სწერ?
 რაზედ აიღე ხელიო?
 — რავექნა რომ ყველა მე მიღრენს,
 მიბღვერენ ვითა მგელიო.

სქვა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ჩვენ ლიტერატურაზე

III

(შემდეგი *)

როდესაც ქართულ ლიტერატურაზე ზაასობ, ანუ სანსაგადოდ საქართველოზე, უნდა იქონიო სხვაში ძველი და ახალი საქართველო. ჩვენს ქართველები ვეკუთვნიოთ ერთს უძველეს სალსთაგანს. ისტორიას არ ახსოვს, როდის დაესასლა აქ კაცა, როგორც არ ახსოვს დასწყისი ეგვიპტელებისა, ფინიკიელებისა, ბერძნებისა და სხვა სალსებისა. მაშასადამე ჩვენი ლიტერატურაზე ორ გვარია; ძველი, რომელსაც სრულებით არა ვითარი დამოკიდებულობა არა აქვს ახალთან და რომელიდგანაც ნაწუგებთი თუქცა-ლა ძვირფასი, დაგვრჩენია და ახალი, რომელიც თითქმის მთლად ამ საუკუნეს ეკუთვნის და არა ვითარი კავშირი არა აქვს ძველ ლიტერატურასთან, გარდა კეთილად ძველი დროის მოსსენიებისა. მართალია, ორთავე ლიტერატურა, როგორც ძველი, ეგრევე ახალი ჩვენი გვიკუთვნის, შეიძლება ორთავენი სხვა სალსის ლიტერატურად იქვენენ გადმოტანილნი თავის დასწყისში და დასრულებული ჩვენს ნიადაგზე, მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს ნებას არ გავსამზღვროთ იგი. ამას გარდა ჩვენი გამოკვლევის მიზნად უნდა გავსადოთ: თუ რომელი ლიტერატურა უფრო განუხებრივდა და შეითვისა ჩვენი ნიადაგი; ძველი, თუ ახალი. რასაკვირველია ამ შეთხვევაში ბეჭდი შრომა დაგვჭირდება. განსაკუთრებით შრო-

*) იხილე „თეატრი“ № 9.

მას კი ძველი ლიტერატურა თხოულობს. აქნობდები
 ვერ გარდავიწყებთ „გუგუნიკის ტყაოსანი“ ორიგინალურ-
 ზი თსხულებსა, თუ ნათარგმნი. ჩვენს ცხოვრებას ესება
 თუ სსკისას (?). „გისრამანსე“ ხომ სულ არ ვიცით რა
 ჯერ-ჯერობით. ასე რომ ჩვენი ძველი ლიტერატურის
 გამოკვლევა ევროპის მოძველ დროს. რაც შეეხება ახალ
 ლიტერატურას. მისი გარჩევის დამბრკოლებელი მანუ-
 წები მოკისსენიეთ ზეით. ამ მანუწებს უფრო უნდა
 მოკრთოს გაცი და მის განსჯას და გარჩევას, რომ შე-
 უდგომ ბარკი არ იქმნებოდა ურიგო; რადგანც ბევრი
 ევლიან იმაში გასათავაზი და ვნადგან ახალ ლიტერატურ-
 რას, ჩვენის აზრით, არავითარი დამოკიდებულება არა
 აქვს ძველთან, ძალიან ადვილად შეიძლება ორთავეს გა-
 მოკვლევას ცალ ცალად შეუდგეთ.

IV

ესლანდელ დროში, როდესაც გაცი ესრედ მტკი-
 ცოდ შეუდგა ძველის გამოკვლევას, დიდი მნიშვნელობა
 აქვს ლიტერატურულ ნაშთებს მეცნიერებისთვის. არა-
 იფრი არ ჰქონს ნათელს ძველი გაციის ცხოვრებას ისე
 გარკვევად, როგორც ლიტერატურა. ძველი ბერძნებიდამ
 რამდენიმე ძვირფასმა წიგნებმა გამოარქეს რა ცნის-
 ლი და წყალი, მოახწიეს ჩვენსმდე. ამ წიგნების სა-
 შუალებით ჩვენ ადვილად გავიგეთ, თუ როგორ სცხოვ-
 რობდა ძველი ბერძენი, ან რა იყო იგი. ზოგიერთს ხალ-
 ხისაგან არ დაგვარჩენია ლიტერატურა და უოკელმა მცო-
 რედ მანც ნაკითხმა იცის, თუ რა ძვირად უღირს ეს-
 ლანდელებს ამ დღეს მკვლარი ხალხების ცხოვრების გა-
 მოკვლევა. მილიონები ისარწყება ამ სავანსე და არსე-
 ლდობა მიდის წინ შეუჩერებელის ნაბიჯით და მისგან
 შენაძინი თან-და-თან იფაროკდება. მაწას სინაქსის და
 შ.ე. ჰმლოდობენ რაღაც ქაბების ნამტკარეებს, ძველ დროის
 ჭურჭლებს და ოჯახის ალაფს. ხცდადობენ ადმოკით-
 ხონ მათსე, რამდენიმე ათასის წლის წინადა, რაღაც
 ნაშნებით სედ წარწერილება და ზემოთი შეადგინონ მცო-
 რედ მანც დახლოებული შთაბეჭდილება წასრული დროის
 ცხოვრებაზე. გაიგონ, თუ რა განონებზე მამდინარეობ-
 და ეს ადრინდელი ცხოვრება და რამდენად წინ წამოსუ-
 ლა ახალი. ესეთი დიდი და განუსაზღვრავი მნიშვნე-
 ლობა აქვს ლიტერატურას გაციის ცხოვრებაში. ამასე
 ბევრი თქმულა და უადვილო იქმნება ჩვენს რამე დავს-
 ძინოთ.

თუ კი რაღაც ცნობებს ჰქონდავენ ძველი ნანუკრე-
 გებიდამ და ნატამალიდამ, რასაკვრელია, რომ ლიტერა-
 ტურიდამ უფრო ბევრ ცნობებს შეჰქონებენ. სადაც გა-
 ცისათვის გარდმოცემას ანუ სსოვნას უმტუუნება, იქ
 ლიტერატურა გამოჩენილას მწედ. ქალაქი უოკელთვის
 უფრო წარწემიდელოდ ინსასეს მიბარებულს, ვიდრე გარდ-

მოცემას და სსოვნას. შეიძას არ მოგასხსენებთ, რომ გარდ-
 მოცემას სრულებით არა ჰქონდეს მნიშვნელობა. მხო-
 ლოდ გარდმოცემა და ლიტერატურა ერთი მეორეს სელს
 უნდა უწყობდენ. მათ შედარებას კი ვერ გავხედავთ, ვი-
 ნაიდგან ლიტერატურას უოკელს შეძობსევაში უბარატე-
 სობა უწინაგან. არამც თუ გარდმოცემა, არამედ ისტო-
 რიაც ძალიან ცოტა ცნობებს გვძლევის თამარის დროის
 ცხოვრებაზე, მგვირმა „გუგუნიკის ტყაოსანი“, „გისრამანსე“
 და შეიძლება გამოჩნდეს ბევრი სსვა ამ გკრია წიგნი-
 ბი, ჰქონენ ნათელს ისტორიის მხრადამ იმ ჩვენთვის
 გაუგებელ დროს. ამ წიგნებიდამ ჩვენ ვტუობალობთ
 ბევრ რაიე საუუადღებოს ჩვენის ძველი ცხოვრებიდამ,
 ხალხის იდეალებსა, ჩვეულებსა, შესედულებსა, კემოვ-
 ნებსა და სსვ.

შეჰველას, რომ მწერალი უნდა მისდედეს სანამდ-
 ვილეს გველ-და-კვალ, რაც ძალი და ღონე აქვს. მხო-
 ლოდ ამითი დამისსურებს იგი უკვლავ სასელს; ნაწარ-
 მლება მათ უფრო ძვირფასია, რაც სინამდვილეზე ახლოა.
 რასაკვირველია შეუდგომობას ჩვენ ვერ მოვითხოვთ.
 „შეცოდება გაცი ბუნებაშია“, იტუოდენ სოლმე რო-
 მელნი, მაგრამ სსქმე იმაში მდგომარეობს, რომ შედა-
 რებით შეცდომა უნდა იფანტებოდეს, ანუ, უკვეთ ესტკვათ—
 იმალებოდეს შეუდგომლობაში.

მწერალი უნდა იეკეს ხალხსა სწავლის სელთამდლო-
 ლი, მოთავე. იგი უნდა ჰქონდეს სასარგებლო იდეებს
 და ავრცელებდეს ხალხში. მწერალს უნდა ჰქონდეს რწმუ-
 ნება საზოგადოებაში; იგი შეუდგომად უნდა გრძნობ-
 დეს ხალხის საჭიროებას და მკურნალობდეს მათ. იდეის
 არ იბადება წამით. შეძლება მისი თესლი ასის წლის
 წინად იყო ჩაგდებული; რაც ძალე აღმოცენდება იგი,
 მით გარკია. მწერალი აქ უნდა გაგვიწიოს სემისსურა,
 მის ზოტარური გრძნობით უნდა ამოჩსრიგოს იგი და
 მასცეს ხალხს კუთხილებად. გაცი ისეთი იდეის არ მოუ-
 ვა რომელიც არ აღიაროს რამდენიმე შარმა სსხო-
 გადოებაში. ვლანამ მომკვიდინებულ ცოდვად ჩსთვლას,
 ოდესაც გაცი სასარგებლო იდეის არ გამოაცხადებს წე-
 რილით, იგი თამამად უნდა წარმოსთქვა. მაილებენ, თუ
 რა ეს შენს თანამედრობზე იქმნება დამოკიდებუ-
 ლი. შენ მსოლოდ შენი ვალი უნდა აინადო. ად-
 ვილად შეიძლება, რომ შენ ნიჭიც არ გქონდეს მწერ-
 ლობისა, — ამინც არ უნდა შეგაშინოს. შენსარ მა-
 ტარებული კეთილის ჰზრის, რომელიც ვადებული სარ
 ხალხს გადსიცე. გაცი საზოგადოების წევრა, მამსადამე
 ასე იქნება, თუ ისე, საზოგადოება უნდა გრძნობდეს მის
 წევრობას. იგი (საზოგადოება) არ უნდა უფურუდეს
 მას, როგორც უნყოლოდ სეს. ზოგიერთი ჰუიჭობს:
 ევა თუ ჩემი აზრი არ გამოდგის! ეს სისუსტეა.
 ზოგიერთი მოელის: „მოკვ დრო და ჩემზე უნატიერესია,

გაგებინებს კეთილ აზრებს სასოგადოებას!“ ან უნდა ეშინოდეს გაცნ კეთილის აზრის დაძველებისა, კეთილი უოკელთვის კეთილად დაწერება. ეს წუთის სოფელი იმ გვარია, რომ ქვასაც ვი მოასუტებს. ჩვენის აზრით, უფრო სასარგებლო და სასურველია, როდესაც მის ადგილას მეორე, რასაკვირველია უმჯობესი, დავი. ჭერს. ის ვი არაა საფიქრელი, რომ აღწინდელი იდეა მომკვდარიყოს, სწულებითაც არა! მის აღწარდა მეორე უკეთესი და თვითონ სამიწველად გაუკეთდა მას. გაცნ იბადება — იდეაც იბადება. გაცნ გააუწყდება — იდეაც გააუწყდება. გაცნ მოსუტდება, მარა კეთილი აზრი და მისი საქმე დაწერება, თუ ვი გაცნ უსუოფოდ ან გაუტარებათ თავის ცხოვრება, იგი უკვდავია, თუ გინდ მისი სასული რომ დაეკარგოს. და თუ ჩვენ მოსუტებულ მშობლებს, ანუ მოღვაწეებს ზატისა ვსტემთ და ვერ შეუტარებუფოთ, მათის აღწინდელი სამსახურისათვის, ვერც ძველს კეთილთა საქმეთ შეუტარებუფოთ, ვინაიღვან მათ თავის დროზე სამსახური გაგვიწიეს. მის დასამტკიცებლად მე მოკვიეს ბელანსკის აზრს: „სასოგადოებაში არიან მსწრაფნი, წინ-და-უსუდედნა პირნი, არიან წყნარნი და ფრთხილნი. სწრაფი შესტდება, თუ სთქვა, რომ წყნარები ან არიან სწრაფო და უკეთესი იქმნებოდნ იმათი უმუოფლობა; ეგრეთვე შესტდარა იქმნება წყნარი, თუ ამასვე იტყვის სწრაფო“ (сочинения Бѣлинскаго т. VIII, стр. 351) ბელანსკის რასაკვირველია რაღაც უნდადა გამოეთქვა ამ მოაზრებით, მაგრამ გარკვევით ვერს სთქვა... მწერალი უნდა ეცადო მოუტანო შესაფერი სარგებლობა შესნ დროს, რომ შესნ საღისას პროგრესში შესნ მონაწილეობა გაქმნეს. თუ მწერალი იმას სტდილობს, რომ უკვდავი იქმნეს, როგორც მისი სასული, ეგრეთვე ნაწერებიც, მაშინ მან თავი რეკრესისტებში უნდა ჩაიწეროს, ვინაიღვან იგი თსულობს წარმატების შეჩერებას. მისი სურვილი მაშინ დაკვიუოფილდება, როდესაც მის ნაწარმოებებს ვერ გადაბიჟებენ.

რაც ბევრი სასარგებლო აზრები იქმნებან ნაწერში, იგი მით უფრო ძვირფასი და უკვდავია. მწერლის თუ იდეები არა აქვს, მისი შრომა უქმია; ნაწერი უსინთლო და უნიჭო. ასე რომ, როდესაც გსურს შესწონო მწერლის ღირსება, უნდა შეადგინო ანგარიში მისგან გამოთქმული აზრებისა. როგორც მდიდარ აზროვანი მწერალი ძვირფასია, ეგრეთვე ძვირფასია ლიტერატურა, რომელიც აზრით და იდეებით გავსებულია. საუბედუროდ ჩვენ დავივიწყეთ გაზომილი საურცე სტატიისა. დროა დაუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

რ. აღისუბნელი.

(შემდეგი იქნება)

ზანტაზია



ოდით დარდებო, ნუ მომშორდებით,
დაჩვეული ვარ თქვენსა მზერასა!
თქვენ თითონ იცით, რომ ბედ
წყული,
ბუნებამ მიმცა ამა წერასა!

რა შეეჩვია ერთხელვე გული
ათას ვაებას, კენესას, წყევასა;
ამაზედ მოვსთქვამ ობოლ-ობერი,
აღარ მოველი გულის ღებნასა.

არც სიყრმის ჟამებს, უდარდელს, ტბილებს;
არც გულის ფეთქით მომავალ ღებნებს;
არც მეგობართვან, გულ-მტკივნეულად,
სრემლის შესრობას, თვალთ მონადუნებს.

ისევ შენ მტანჯე გაუკითხავო!
შხამით ამავსე, შენ ღეთის რისხეაო!..
ისევ სევდებ ა აღელდით გულში!
და უბედური მაცურვე ზღვაო!

მგებ ტალღებმან ჩემი სიცოცხლე,
მს უფერული, თან ჩაიტანოს
და ჩემი ძვლები, ქვით დამსხრეულნი,
ზღვისა ნაპირზე ქვიშამ დაფაროს.

რომ მეგობართა, მოძმეთ სანაცლოდ,
შენმა ღელვებმა მე გამიტანოს
და ამ ტანჯულსა, ამ სოფლით დასჯილს
მითი ნუგეში რამ მამიტანოს,

კნ. ნ. ღრბელიანას

თეატრული ცენტრი

ფელტონი

მუცა დაითხოვეს.

თავი V

ცოფიანი ძაღლი. გოგია.

(შეღვივება *)

ოქ დღესვე გავარდნილმა საშინელმა სმამ—სოფელში ცოფიანი ძაღლი დადისო—ელვასავით მოიბრინა და შეჭწნარა მთელი სოფელი. ცოფიან ძაღლსე საშინელი არაფერია კაცისათვის; ცოფი სწამლავს სისხლს, სსკუელს და თვით ავად-მოფოს ასინლებს თავის და სტანჯავს საშინლად: მუდამ წყლის ნატრული, ის შიშით გარბის მისაგან. მაგრამ ეველასე უფრო საშიში ამ ავად-მოფობაში ის არის, რომ მას არა აქვს წამალი; მასთან ერთად ეოველი იმეღია დაკარგული მორჩენისა. მარტო ცოფიანი კაცი გესვეწებათ ნამდვილად მოაშორეთ ის სიცოცხლეს. მერმე ვის იზოვნით იმისთანას, რომელიც შეიძლება ავად-მოფოსის თხოვნის აღსრულებას?

გაუფთხილდით ცოფიან შვილს დედავ და მამავ; ცოფ მორეულ მძას, დაო და მამო! რაც უფრო მან უვეარსარ ცაცოფებულს, იმდენად უფრო მძლავრად ჩაკვიდებს თავის კბილს, რომ განიქარვოს საშინელი წუურვილი. ერთის მხრით მასში ჯერ კიდევ შენახული კაცური გრძნობა გესვეწებათ უფთხილდეთ მას და ამავე დროს რაღაც მსეცური და სასარელი ქმნილება გამშაკებული იწევს თქვენკენ, რომ თავის მდგომარეობაში ჩავაყენოთ. ამისათვის რას არა სჩადის იმისი საიდგანდაც მოაოებული მსეცური ძაღა. რა გვარის გამეცებით ამ-

ტვრევს თავის მიჯანჭველ ხელ-ფესთ ავად-მოფოფი მხოლოდ იმისთვის, რომ დაეწაფოს ოდე-სმე თავის მაგ-გვარ არსებას. დიას, საშინელია ცოფ-მორეული ავად-მოფოფი: მთელი კაცობრიობის ისტორიის მატიანეში, სსვა ათან გვარ სასარელ სატანჯავთა შორის, არ გავონილა, რომ ოდესმე კაცი დაესაჯოთ ცაცოფებით...

საშინელია ეს ავად-მოფობა და ამისათვის ცოფიანი ძაღლის გაჩენის სმასედ ეოველი კაცი იღებს თოფს, კეტს, ბარს და სსვასაც, რაც მოსგდება ხელში და გარბის, რომ რაც შეიძლება მალე მოკლან ძაღლი და მასთან ერთად მირძი ამოჭკვეთონ ეს საშინელი ავად-მოფობა...

ამ ამბავმა გოგიაძლის ჯერ კიდევ გსახედ მიასწია, როდესაც ის ფოთლით დასურგული მოდიოდა შინ. ამ ამბავმა მოაგონა თავისი შვილი და, რადგანაც იცოდა თავის ცოლის დაუღვერობა, გამოაჩქარა ფესი შინისკენ. შინ მას არავინ დახვდა და ეს ძაღლიან გაუკვირდა, რადგანაც მურია მაინც თავის დღეში არა ჭმორდებოდა სახლსა. იმან დაუძახა მურის; მურია ამ მოიბრინა მასილსედ და გოგიამ ხელ-მეორედ დაუძახა ძაღლს. ძაღლი კიდევ არა სჩანდა.

—,ნუ თუ მართლა გავდო საწვალი ძაღლი იმ შეჩვენებულმა დედაკაცმა? სთქვა გოგიამ და თვითონვე შეატეო, რომ ამ აზრმა მას ტვინი აუძღვრია, და როდესაც თითქმის დარწმუნდა, რომ ეს ასე იყო და გიგუაც წასული იყო იმის საძებნელად. — მაშინ რაღაცა თბილმა ქრულიმა გაურბინა გოგიას ტანში, აუღუდა ბრახით გული, გაუსწორა დიდი ხნის მოსრილი ზურგი და მისმა თვალებმა გამოჭყვარეს ისეთი ნაწერწკლები, რომლებიც მაგვარეც მთელი ათი წლის განმძაველობაში არავის ენახა. ამის შემდეგ გოგიამ ისეთის გამეცებით მიაჯახუნა ხელ-მეორედ შეღებული

*) იხილეთ „თეატრი“ № 12.



კარები, რომ იგი ცალი კოჭაკივით ამოვარდა და შემრული ბანივით ჩამოცვივდა წვრილი მიწა.

— მარია! შეჭვირი მან. ჰასუსი არ იყო. გიგო! გაუმეორე მან ცარიელს კედლებს. ჰასუსი არც ესლა იყო და ის გამოვარდა კარით. კარით დახვდა ერთი მესობელი დედა-კაცი, მარიამის მეგობარი. იმ დედაკაცსედა კარგა არავის ეცოდინებოდა, თუ სად არის, ან მარიამი, ან გიგო, მაგრამ გოგამ მას არაფერი ჰკითხა, რადგანაც იცოდა, რომ „არ ვიცი, გენაცვალე-ს“ მეტს ვერაფერს გაიგონებდა მისგან და გასწია სვეით. სვეით მალე გაიგო, საიდანაც წასულიყო გიგო და სირბილით გაუდგა იმ გზა-ტყევილს, რომელიც სოფლიდან მიდის ბებრის-ცხისკენ. ის მალე გასცდა ბებრის ცხეს, ორღობეს და მიუახლოვდა ღართის-კარს. იქნება ღართის კარსაც გასცილდებოდა, მაგრამ ერთბაშად შემოესმა უკანინად მასილი და გოგია შედგა, ელვის სისწრაფით მოხვდა ეს სმა მთა-ბარს, მათ გაიმეორეს მასილი და გოგამ გაიგო რომ ეს იყო: „მუ-რია-აა!“ და გასარებელი გაიქცა იმ მხრისაკენ, საიდანაც ის მოისმა. მაგრამ მალე იმულებული იყო შედგარიყო, რადგანაც ჰატარა ხანს შედგე აღარ იცოდა, საით წასულიყო. ის უცდიდა მეორე მასილს—მეორე მასილიც, თუმცა კი კვიან, მოისმა. გოგის უნდოდა მიეცა სმა, მაგრამ შედგა, რადგანაც სამართლიანად გადასჭრა, რომ ასრე ადვილად შეეძლო დაეკარვა შეილი.

გიგო მამის ხმის გაგონებასედა უფრო შორს გადაიკარგებოდა, რომ მას არ დაემა-ლა მისთვის მურის მებნა და გოგამ გადასწვიტა, რომ ის უფრო ჰკვიანსოდ მოიქცევა, თუ რომ სმასედა მისდგეს მის კვალს და ბოლოს დაიჭერს როგორმე. უკანასკნელ მასილ-

სედა იმას უნდოდა ესმარნა ემსაკობა და დაეღობა მალევიით, მაგრამ მალე დაანება ამ ასრსთავი, როდესაც ჰირველივე ცდის შემდეგვე შეატეო, რომ მის სმა არაფრით არა ჰკვიანდა მალისას და გასწია კიდე; გიგოსაკენ. აი ის ავიდა თეთრ მთასედა, ისა სდგას იმ ალაგსედა, საიდანაც მოესმა უკანასკნელი მასილი გიგოსი და გულ-მოღვინეთ ემებდა იქ გიგოსს კვალს, როგორც შორივად მოესმა ახალი მასილი. გიგო ჩასულიყო ქვევით. სიარულით დაქანცულმა გოგიამაც გამოსწია ქვევით. კარგა ხანი მოინდომა ქვევით ჩასვლამ, მაგრამ მთელ ამ დროს განსამჯლობაში ერთსედაც არ ჰსმენია გოგის გიგოსს სმა; ის თითქოს შესწევდა იმისაკენ, რომ სრულიად მოეკვეთა უბედური მამისთვის შეილის ჰოვინს უკანასკნელი იმედი. ათას ნაირი ერთმანერთსედა უფრო მწარე ფიქრი სტანჯავდა საწყალს გოგის: აქ სმა ცოფიან მდღესედა, აქ ვეებერთელა მთების და ფლატეების უცოდინარობა, რომლებშიაც გიგოსს ეოველს ჟამს შეეძლო ჩავარდნილიყო და მოეტეხა კისერი, ისე ცუდათ იმოქმედეს მასსე და ისე აუძღვრიეს კული, რომ მას მოაწვა თვალსედა მთელი ზღვა ცრემლებისა, რომლებიც დრომდე მარტო იმიტომ შეაუნა რომ მას უნდოდა ასვლა ბებრის ცხის მთასე, რომ იმის სიმადლივად, მინამ დაისვენებდა ახლის მებნისთვის, ერთი კიდეც გადაეგლო თვალის უკანასკნელის იმედით გარშემო ალაგებისთვის. და აი ისა სდგას ბებრის ცხისედა და ბევრითად იუწრება აქეთ-იქით. დილის მშვიდური სურათი ბუნებისა სრულიად შეცვლილ იყო შეადლისას. არც ფრინველების ჟივილხივილი, არც ხალხის მოძრაობა, არც საქონლის ბღავილი არ არღვევდა მეუღრობას; მარტო ორი ვენახის ორივე წყლის ასევენა ჩარები არ სწევადენ თაყის მწუხარე ტირილს

და მათი მიღებიდან ამომავალი წმინდა წელის ქვეითვე ჩამაცვივარი სპირი წინწკლები შუადღის მსესედ აღმასის წვიმასავით ბრწყინავდენ.

ი. რევიშვილი.

(უემდეგი იწება)

მიზაძვა კორტულალსკინასადმი

(ბაირონიდამ)

6 აზი აღერსით აღტაცებულმა „სიცოცხლე“ მითხარ სანუგეშებლად. ძარგია წლები რომ ყმაწვილობას ბანუტოვებდენ ხელ-უხლებელად.

* *

მაგრამ სიცოცხლე წამისა არი; და აწ როდესაც ყელს მტხვეოდე; მსურს „სულო“ ს უკვდავს ვით ჩემ საყვარულს „სიცოცხლე“-ს ნაცვლად მეუბნებოდე.

რ. აღისუბნელი.

აღორჩეული აზრები ქუინკი, ხელაგნების შესახებ

ხალოკნება

(დასასრული)

ბერლიონის მუსიკაში არწივის ფრთების ქვეის სმა ისმის, იგი სრულიად ჭარმონიულს სმებს მოკლებულია, როდესაც იმის მუსიკის სმა შესმის, ასე მგონია მსმენებს სოცენ სადმე და იმათი დრიადი მოდის მეთქი (6. 274).

ფერდინანდ გილდერი უფრო აზროვანი მუსიკანტია, ვიდრე მგრძნობიერი. იგი დოკტრინიერიან მუსიკაში (6 277).

შოლისა ვიარდო, ბუღბუღი კი არ არის, რომელსაც ჩამომავლობითვე მოსდგამს ჭარმონიულად გა-

საფსულს უგალობს, ვიარდო არც კარდა; იგი სიმბოლო ნიერეს მოკლებულია, მაგრამ იმის სიმასინჯე ბრწყინვალეა; თითქმის ღამაზიც არის. ეს სილამაზე ცვილი-ზიური არ არის, იგი მოკვავონებს საზარელს ტროპიკულს ფლორის სილამაზეს; როდესაც იგი გალობს, როდესაც იგი პირს ალებს საშინელს თეთრის კბილებით და ველურ-სიტკბოებით იცინის, ის-ის არის მოელი, რომ იმის პირიდგან მსეცი ამოვარდება რამეო და აქეთ იქით იტყირები შეაფარო თავი (6.258).

ისეთს გავლენას ასდენს ღამაზე ქალებსედ მუსიკა, რომ როდესაც ისინი ოპერას ისმენენ, — როგორც-თაც მასწალებით განათებული სტატუია, რომელიც გარედგან არის განათებული და ასრე გგონია, შიგნიდგანაც ისეაო. ერთი სიტყვით, — მამინ ჩვენ იმათი გული სირდმეებიდგან ყოველივე საიდუმლოებს კვითხულაბთ. (7. 92)

ერთი დღის გირტოზების რეპუტაცია ისე იკარგება უგზო-უკვლოდ, როგორც შარშანდელი თოვლი (6. 280).

როსსინის მუსიკა მეტად ტკბილი და ჭარმონიულია; ზოგჯერ გაღებებს იგი, ზოგჯერ აღტაცებაში მოჰყვარ, ყოველივე მასში დახატული, სან კაცი დასცურავს იმის მუსიკის ხმაზედ ზღვასავით აღებებულს სიყვარულში, სან გავმირებს, სან გაღებებს; ზოგჯერ ვნებათა ღელვით გავსებს, სან კიდევ მეტათ განაზებს. საერთოდ, როსსინის მუსიკა მელოდიური ხასიათისაა. მეიერბერის მუსიკა კი უფრო ჭარმონიულია; ჭარმონიულს ზვირთებში, მელოდიები დასცურავენ, როგორც-თაც ინდივიდუალური გრძნობა ხალხის გრძნობაში. ამ ჭარმონიულს ზვირთებში ხალხისანად სტოპავს ჩვენი სული, როდესაც იგი მსოფლიურის მწუხარებით, ანუ სიმასინჯით აღტურვილია. მეიერბერის მუსიკა უფრო სოციალურია, ვიდრე ინდივიდუალური (6.212).

ფრანც ლისტის მუსიკა სრულით არ მიეკარს, ცუდათ მოქმედობს ჩემს გრძნობებსედ; მით უფრო, რომ მე ვსედავ ყოველივე იმ თვისებებს, რომელნიც მაყურებელთ მხოლოდ მდაბალი სმა ესმით. მე დღეს მასსოვს კიდევ ერთი იმის კონცერტი. ის კონცერტი ისე მეჩვენა, რომ მე მეგონა აზოვადიბისსიადგან ამოურჩევია ის ტემები მეთქი. პირველში ვერ შევნიშნე ის ოთხი მისტიკური მსეცები, მე მხოლოდ იმათი სმები მესმოდა, როგორც-თაც არწივის და ღომის ყვირილი. მე ვნახე ხალხი, რომელნიც მოკვირების წინ გაფითრებულიები თასთასებდენ. პირველად სატანამ თეთრის რამით ითამაშა. იმის შემდეგ ხელ-ხელა სიკვდილმა გაიარა. ეს ყოველივე მე ვნახე (6. 224).

შოპენი, რომელსაც — ფრანცუზი მშობლები ქვე-

*) იხილე „თეატრი“ № 13.



ნან, ზოლში დაიბადა და სწავლა გერმანიაში მიიღო. ზოლში რანდული სული მისცა და ისტორიული უბედურება, საფრანკეთმა—სიმსუბუქე და თამაშობა, გერმანიაში—რომანტიული გრძნობიერება (6. 226).

ძალა ზეცაში სუდავ იმ ზეტარს ყვითლად ფერმისდღის მოვარის რგოლს, ზეტარს ანკარა მდინარეს, თითქოს ებრალებო, ისრე ადგის იმისა შუქი მსქეფარე ამაყს ტაღებს, რომელიც სსსსცილოდ იგდებს და სმელებს სერის. მკრამ დრო მოვა, როდესაც მოვარე უწინდებურად გაიბადრება სრულის შუქით და ყველა მდინარებს მოეფინება; მასინ ტაღები იმის წინაშე შიშით კანკალს დაიწყებენ და დასულა თავყანს სეკემნ. აი, მკრანის ამისთანაა. (8. 63)

ზოკისა კაცის ავად-მყოფობა. (2. 187)

მკრანის მხლად თავის სიუბეკტივობასა უნდა მიეცეს, იმას უნდა შეეძლოს სუვევადფრის დაწერა. (6. 184)

მკრანის განსაკუთრებით ორს მოთხოვნილებას უნდა მიუჩიოს ყურადღება, იმის ღირიკულს სიმღერებში ბუნებითი სმა უნდა ისმოდეს, ეპიკურში და დრამატულში—მსახირობა, ისინი არიან თავისუფლად შექმნილნი, როგორათაც ზაღლადა, აფინა, რომელსიც სრულიად შეკანსმულნი მკრანის ს სუდრჯან გამოდიან (2. 113).

მხლად დიდს მკრანის შეუძლიან თავის მედროვე ზოკისა გაიგოს. წასრული ზოკისა უფრო ადვილი გასაგებია (3. 164).

უკანასკნელთ თხზულებანი ნამდვილის მკრანის სრულებითაც ვერა სჯობინ წინაპირველთ.

ივ. ჯაჯანაშვილი.

კომედიურის ენით არის დაწერილი, რომ მე მგონია მისრამიანის ლექსიკონიდან არის სიტყვები ამოკრეფილი. რაც ტიპებს შეეხება, მეტადრე მაშინ, როდესაც ყველანი ერთად სცენაზედ თავს იყრიან, სწორედ მეორედ მოსვლა მომაგონდა, როდესაც საფლავიდგან მკვდრები უნდა აღსდგნენ; არც ერთს იმათში ადამიანის გრძნობიერებანი არ მოიპოვებინ, იგინი სრულიად ამ სოფლიურს ქვეყანას არ ეკუთვნიან, მაგალითად როგორც ზორჯასპია (ი. გაგარელი) და შათლანი (პ. მოხვევე). ამის მაგარი ტიპები იქნება წარლუნის წინათ კი იყვნენ, თორემ მას აქეთ კი არა მგონია. ჩვენის აზრით, ისა სჯობდა, რომ ბ. შმიკაშვილს ეს პიესა გადმოეთარკმნა, რადგანაც აზრი სრულიად დაუკარგვინებია. რაიცა შეეხება მოთამაშეთ, საერთოდ ყველამ სვინილისიანად შეასრულეს გარდა ბ. მაქსიმიძისა, რომელმაც სრულიად არ იცოდა თავისი როლი და ხშირად იბნეოდა. მანსაკუთრებით, კარგა ითამაშეს მ. საფაროვი-ბაშიძისამ, მ. მძინაროვისამ, მ. ანდრონიკოვისამ და მ. ბაშიძემ. ამ მოთამაშეებს, რომ არ ეშველათ ბ. პ. შმიკაშვილისთვის, იმის პიესაზედ პუბლიკა ღრმა მოსვენებითს ძილს მიეცემოდა.

ჩვენდა სამწუხაროდ ამ უკანასკნელს დროს თეატრში ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. ნეტავი როდის მოვა ჩვენი პუბლიკა არსებაში და შეიგნებს თეატრის გემოს, მნიშვნელობას და დაიწყებს სიარულს?—ნუ თუ საკმარისი არ არის ამოდენი ხნობითი კაბინეთებში ბასი და ჭორებზედ ლაპარაკი?

ა. კ—ლი.

თეატრი და მუზიკა

ქართული თეატრი

ქართულმა დრამატიულმა დასმა კვირას, 17-ს ნოემბერს წარმოადგინა „პლერსთა ბადე“, კომედია 4-ს მოქმედებად, გადმოკეთებული პ. შმიკაშვილისაგან. ამ პიესას რუსულს რეპერტუარში არა მცირედი ადგილი უჭირავს, მაგრამ ქართულს სცენაზედ კი ვერაფერი შთაბეჭდილება იქონია. ამის მიზეზი ბ. გადმოკეთებელია, რადგანაც არც ერთი მხარე კომედიის კანონისა, ამ პიესაში არ არიან დაცულნი; ისეთის მძიმე და არა

ორიოდე სიტყვა ბატ. ჩ.

ბაზეთ „ბავკაზის“ მე 309 ნომერში დაბეჭდილია შენიშვნა ვილაცა ჩინისა შესახებ ძვირინდელ ქართულ წარმოდგენისა. ბატ. ჩ., სხვათა შორის, უსაყვედურებს ეხლანდელ ქართული თეატრის მოთავეთ, რომ ბევრი ნიჭიერი ანტიისტუბი არ არიან მოწვეულნი წელს ქართულ დასშიო, რალაცა პირადი უთანხმოების გამო ანტრეპრიზასთანო.

ჩვენ ვალად ვრაცხთ მოვაგონოთ ბატ. ჩ., რომ თითქმის ოთხი თვის განმავლობაში, ეხლანდელი ქართული თეატრის მოთავე, გაზეთებში აცხადებდა და იწვევდა ყველა მსურველთ ქართულ დრამატიულ

დასში შემოსასვლელად. მისაც კი სურდა და მოგვ-
მართა დაუყოვნებლივ იყო მიღებული. აბა ერთი
მოგვეგონოს ჩ., რომელმა ნიჭიერმა არტისტმა გა-
მოგვიცხადა სურვილი დასში შემოსასვლელად და
ჩვენ უარ-გყავით?

მხლანდელ დასს შეადგენენ: ქ. ქ. საფაროვი-
საშაძისა, გაბუნია-ცაგაძისა (ამ არტისტკამ მუდმი-
ვი მონაწილეობის მიღება არ ინება და მხოლოდ
დრო გამოშვებით ისურვა თამაშობა) ანდრონიკოვი-
სა, მიხარაძისა, ტარიელაძისა, ბ.ბ. ანაშიძე, ალექსე-
ვი-მესხივი, მოსკოვი, მაქსიმოვი, ი. ცაგარელი, ბ. ლომიძე
და სხვ. ბევრს წილს ამ არტისტებისას თბილისის
ქართველი საზოგადოება დიდი ხანია იცნობს, რო-
გორც ნიჭიერ არტისტებს და ბატ. ჩ. ატესტაცი-
აში არა საჭიროებენ. ამ არტისტებს შორის მხოლოდ
ერთი არტისტის სახელი აკლია. ეს განლაგსთ ქ.
შიფიანი. ამ არტისტთან ჩვენ დიდი ხანი გეჟონდა
მოლაპარაკება, მაგრამ ჩვენ და სამწუხაროთ ფასში ვერ
მოურიგდით. იმ ჯილდოს რასაც ბ. შიფიანი გვთხოვდა
(ყოველ გამოსვლაზე ხუთი თუმანი, მასასადამე
ექვსჯერ რომ ყოფილიყო მოწვეული თვეში ოცდა
ათ თუმანს შეადგენდა) ღარიბმა ქართულმა დასმა
ვერ შესძლო. ბატ. აწყურელიც მოწვეული იყო
და 1 ოქტომბერს თბილისში უნდა ყოფილიყო,
მაგრამ ისიც, ჩვენდა სამწუხაროდ, დაგვიანდა და
მხოლოდ ოქტომბრის გასულს გამოცხადდა, მაშინ
როდესაც დასი უკვე შემდგარი იყო და მის მაგიე-
რად სხვა იყო მოწვეული. სხვა ვილა დარჩა? სად
არიან ეს ნიჭიერი არტისტები? ნუ თუ ბატ. ჩ. შარ-
შანდელ არტისტებს აცქალებს, მცხეთელს, ტყვი-
ველს და სხვ. სთვლის ნიჭიერ არტისტებად?
მართალია ამ არტისტებმა შარშან დიდი არტისტიკ-
ლი ნიჭი გამოიჩინეს დრამებში: „უკანონო შვილი“,
„ძაკო ყაჩაღი“, „ახალ-გაზდა ქალის სიყვარული“;
ამ ნიჭიერი არტისტების გამბედაობამ იქამდისინაც
კი მიადწია, რომ თვით შექსპირის და შილერის
გვამიც შეურაცხყვეს. მაშინ რა კიდევ, თუ ბატ.
ჩ. ეს არტისტები მართლანაჭიერ არტისტებად მიჩ-
ნია და იმიტომ გვისაყვედურებს, რომ წელს ისი-
ნი არ არიან ქართულ დრამატიულ დასში შერიც-
ხულნი, ამაზე ჩვენ უპასუხებთ, რომ ჯერ ერთი ეს
არტისტები მაინც და მაინც დიდს დანაკლის არ
შეადგენდნ ქართულ თეატრისათვის და მეორე და
უმთავრესიც ის არის, რომ არავის მათგანს არ გა-
მოუცხადებთ სურვილს დასში შემოსასვლელად.

მარწმუნებთ ბატ. ჩ., რომ ჩვენ არასოდეს და

არავისთან არავითარი პირადი ანგარიშები არაფერ
ნია და ყოველს ნამდვილს ნიჭს და შრომულ
კაცს ადგილი ექნება ჩვენ საწყალ თეატრში.


◆◆ შაბათს, 16 ნოემბერს, თბილისის კლუ-
ბის ზალაში გამართული იყო მუზიკალური სალა-
მო თბილისის საქალბო გიმნაზიის დასი მოსწა-
გლეოათვის. ამ მუზიკალურ სალამოში მონაწილე-
ობა მიიღეს თბილისის გამოჩენილმა მუსიკის მო-
ყვარებმა, რომლებმაც ჩინებულად შეასრულეს თა-
ვიანთი ნომრები. სალამო გათავდა ტანცაობით.
წმინდა შემოსავალი 700 მანეთამდის დარჩენილა.

◆◆ ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, სომხური
დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება
„ძალი ბერლიანი“ ოთხ მოქმედებიანი კომედია,
თხზ. მიხეილანისა. ეს წარმოდგენა დანიშნულა
ნიჭიერი არტისტის ბ. ავალიანის ბენეფისში.

წერილი რედაქტორთა

ბატონო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული ჟურნალი და მისი მკი-
თხველი „მთელი უშველებელი ეპისტოლეტა“ ჩემზე
შეუწუხებია ვილაც „მუთათელს“. არავითარ პასუხს
არ ვიკადრებ მივსცე იმისთანა ავტორს, რომელაც
ივალება და რომელსაც ემინიან თავის სახელის
გამოცხადება—ამას, ამ „მალულობიას“ მხოლოდ
„დრონოსიკები“ შერებიან და აბა რა სათქმელია,
რომ მე მაგათთანა პირებს პასუხს არ ვაღიარებ;
მაგრამ იმ წერილში ერთი სავანი არის, რომელ-
ზედაც საჭიროდ ვრაცხ ორიოდ სიტყვა მოგახსენ-
ნოთ. ის „პატიოსანი“ მშიშარა ამბობს, რომ მუ-
თათისის დასი დაიშალაო, ბ. მესხს ორი მოთამაშის
მეტე არა ჰყავსო, დამფასებლად ამოიჩინესო, თეა-
ტრისთვის აღარ სცალიანო და სხვა-და-სხვა. მე ამის-
თაობაზე იმიტომ გწერთ, რომ ყველასათვის, ვისაც
კი უყვარს ქართული თეატრი, ქართული ლიტერატუ-
რა საწყენი იქნება ასე უცებ იმ საქმის ჩაშლა, რა-
მელიც მე გამოვიწყე მუთათისში და მართლაც რომ
დიდი უზარმაზარი სიცრუე მოგახსენათ იმ ვილაც
„მუთათელმა“: მუთათისის დასი ან დაშლილა, ვიკვლ
არ ვვინაში წანმოდგენეს იმართება და მოთამაშისიც



ისევე ის შირები არიან, ვინც აქამდისან იუვენს, გაადა
არისა: ბ. რანისიძე მინდელისა და ძეგანაძისა, რომ-
ელთაც რაღაც იმერული ხრიკები და ხსუკური მონდო-
მეს და რომელნაც მე შეუწყნარებდოვ „დესპოტიუ-
რად“ გამოვირისე დასსიდაძ.

კ. მესხი.

ცნობები ძველის

„საქართველოს გაზეთიდან“

ნომბრის 8 დღესა, ჩეით წელსა თფილისში.

№ 36.

მამოცხადებანი *).

ასტრონომიის მრცხველობათაებრ ცხადდება, რომ-
მელ შემდგომის მამაკალს შინა წელსა ჩეით ვიქმნებათ
მოწამე ერთისა ძეგანა გამოცხადებათაგანისა ცასა ზედა,
სასკლდობრ მეშვ...¹⁾

(ასტრონომია არს ვარსკვლავთ მრცხველობა)

რცხვასა სექტემბრისასა ახლისებრ შტილისა ხო-
ლო ძველისებრ ოც და ექვსსა რცხვას²⁾... ტოსისა
შუადღისას იქმნების სრული დაბნელება მზისა, რომე-
ლიცა ფრიად დიდის³⁾... ანა გვინასაკს ჩვენგან და
შენ⁴⁾... ტასაზედა. ინდურლანდთა შინა⁵⁾... ანს ამა
საგანსა ზედა წიგნი, რომელიცა მიეწერებათ მეტეორსა
გაცხას ვანსვიდერსუს სურათითურთ, რომელსაცა ზედა
გამოხატულ ანს დაბნელება სმითა სსვა და სსვათა სს-
სეთა შინა.

(პლანეტა არს ცთომილი ვარსკვლავი.)

(დასრულდა)

* იხილეთ „თეატრი“ № 13.

1) აქ აკლია.
2) აქ აკლია.
3) აქ აკლია.
4) აქ აკლია.
5) აქ აკლია.

შემოღლი სიყვარულისგან

დრამა ხუთს აქტად

თხზულება ღონ მანუელ ტამაისი და ბაუსისა.

სცენა VII

(შემდეგი *)

მეფე. სუყველა ისეა, როგორც მე ვითხარი.
მე ვავერთე ირმის დენაში... იგი სამჯერ ამცლა
თვალიდგან.

დედოფალი. ძარკი! შენთვის ირემი ჩემზე
უფრო საყურადღებო ყოფილა.

მეფე. ძვეყანაზე მე შენზედ უძვირფასესი არა
მეგულებარა.

დედოფალი. (თავისთვის) როგორ თვალთ-მაქ-
ცობს.

მეფე.(თავისთვის) მე ამას უნდა გული მოუგო,
თორემ მისი ბურგოსში წაყვანა მომინდება.

დედოფალი. იმედი მაქვს, რომ დღეს მაინც
დარჩები ჩემთან.

მეფე. ჩემდა სამწუხაროდ არ შემიძლიან ავი-
სრულო თხოვნა.

დედოფალი. და ეს ახალი დამტკიცებაა, რომ
ჩემზე უძვირფასესი არავინ გეგულებს?

მეფე. რა უსაფუძლოა შენი სიყვარული: მართა-
ლია—მე შენ მთელს დროს ვერ გახმაზრებ, როგორც
მე მსურდა, მაგრამ ესეც უნდა წარმოიღვირო, რომ
მეფე ყველაზე უწინარეს ხალხს ეკუთვნის... მოიგონე,
რომ მე გარს მარჯვე მტრები მარტყია და ასე გა-
შინჯე რომ მამაშენსაც კი ვეოძებო.

დედოფალი. მამაჩემი! მალ-მალ რისთვის მიხ-
სენებ ხოლომე მას? შენ იგი ძასტილიიდან გასდევნე
ისე, რომ არცკი დააცადე ეკოცნა ჩემთვის!..

მეფე. თვეითონ არ მოისურვა შენი ნახვა.

დედოფალი. რომელი მამა არ მოინდომებს
თავის ქალიშვილის ნახვას? ეს შესაძლო არ არის!

მეფე. ექიმები ყოველ დღელებას მავნეთა
სთვლიან შენის ჯან-მრთელობისთვის...

დედოფალი. შენსულ ექიმებზე მელაპარაკები
და ჩემში იგულისხმებ ისეთს ავად-მყოფობას, რომ-
მელსაც მე არა ვგრძნობ. ჩემი სიცოცხლე, შილიბე,
ეს შენი სიყვარულია. წამართვი სიყვარული
მასთან სიცოცხლესაც მომისწრაფებ; რწმუნება შენი
სიყვარულისადმი და სიცოცხლე ერთსა და იმავე
დროს დამტოვებენ. შენი ღალატი მე მომკლავს!

* იხილეთ „თეატრი“ № 13.



ქართული
საზოგადოებრივი
საბჭოთაო

მეფე. უფრო შენი ეჭვი. ეს აქამდისინაც ამაში-
რეცხავდა გულიდკან შენდამი სიყვარულს, რომ ეს
უკანასკნელი ძლიერი არა ყოფილიყო—ეს ეჭვი,
კი მას დიდს ყურადღებას არ ვაქცევ, მაინც მა-
ჯაერებს, მაგრამ სიყვარული სძალავს ჩემს ჯაერებს
და მე გიმეორებ: მიყვარხარ შენ.

დედოფალი. შენ ამეებს რისთვის მეუბნები?
რისთვისა ცდილობ დამაჯერო, როდესაც არ უნდა
მჯეროდეს.

მეფე. რატომ არა გჯერა შენ ჩემი სიტყვა?

დედოფალი. რატომ? შენ ეხლა არასტკვი—ვერ
ავასრულებ შენ სიტყვასა, შენთან ვერ დავრჩებოა:
მიტხარი მიზეზი...

მეფე. სხვა რა მიზეზი უნდა იყოს, თუ არ
ჩემი მუდმივი საქმე.

დედოფალი. შენ გინდა სასახლე დასტოვო?

მეფე. შეიქნება.

დედოფალი. სასტუმროში გინდა წახვიდე?

მეფე. როგორ? რას ამბობ მაგას?

დედოფალი. მე სულელი!... როგორ იცი ჩემი
მოტყუება!

მეფე. განმარტეთ სუყველა ეს, ბატონო...

დედოფალი. ბანა საკმარისად არ გითხარი?

რა გიზიდავს იმ ჭუჭყიან ძაბილიანში?

მეფე. (თავისთავი) არ იცის?

დედოფალი. თქვი! მამეცი პასუხი! ეცადე
მოიგონო რამე—რომ მამატყუო...

მეფე. ჩვენ ერთად ვერ მოვრიგდებით. ექიმების
და სუყველა უერთგულესი სასახლის კაცების აზრის
წინააღმდეგ მე მსურდა შენთან მემგზავრა...

დედოფალი. მართლა? ბადასწყვიტე კბდეც?

მეფე. მხლა კი დავრწმუნდი—რომ ეს შეუძ-
ლებელი საქმეა. შენ დარჩები ტუდრალში და მე
კი გავალ აქედგან.

დედოფალი. არა, შილიბე, არა, წავიდეთ
ერთად.

მეფე. ტყუილად-ლა მთხოვე...

დედოფალი. ნუ მტანჯავ! მიტხარი მიზეზი,
რისთვის იყავი იმ სასტუმროში. თქვი და მე დავი-
ჯერებ.

მეფე. შენი მოსვენებისთვის ამას მე აქამდისინ
გიმალადედი და ამისთვის აი შენ რითი მაჯილდოებ!...

დედოფალი. შენ მე სიცოცხლეს მისწრაფებ!...

მეფე. იქ მე ჩუმად ერთს სახემწიფო საქმისთვის
დავდივარ.

დედოფალი. სახემწიფო საქმე?

მეფე. დიახ, ბატონო, დიახ.

დედოფალი. ძარგი. მე მჯერა. მაგრამდე.

მეფე. მე ვცდლობ მოვიმხრო მამეშენის ვერ
უერთგულესი მეგობარი.

დედოფალი. გერცოგი ალბი?

მეფე. ის ყოველთვის აღელვებდა ხალხს იმ
მიზნით, რომ სამეფო გვირგვინი მეფე დონ-შერ-
დინანდისთვის ჩაებარებინა. მხლა, ჩემდა საბედნიეროდ,
დავიყოლიე იგი; იმას არ უნდა რომ ამ ამბავმა
ეხლავე მეფემდის მიახწიოს და მისთვის მთხოვა—
რომ საიდუმლოთა გვქონდეს ერთმანეთთან თათბირი

დედოფალი. (თავისთვის) მე მალე შევიტყობ,

თუ ეს რამდენად მართალს ლაპარაკობს.

მეფე. დარწმუნდი შენს უსამართლობაზე?

დედოფალი. დიახ, რაცკი რამე სქვი—სუყველა-
ფერი მჯერა. ხვალ ხომ ერთად წავალთ?


მეფე. უმადურო! ნუ თუ გგონია, რომ შენი
წყევანა მე არა მსურს? პარწმუნე შენს ქმარს, ნუ
აჯაერებ შენი ეჭვით კაცს, რომელსაც ძალიან უყვარ-
ხარ.

დედოფალი. იცი, შილიბე, რომ ეს დეღვა
მომიღებს მე ბოლოს? დიახ, მე მოვკვდები იმითი,
რომ დღესა მრწამს, ხვალ კი ისევ ვეჭვობ; იცი
შენა, რომ ჩემი სიყვარული ძლიერდება წუთობით
და შენი სიძულვეთ უფრო მტკიცდება იგი; იცი,
შენ რომ როდესაც იგი გახდა ჩემ მოვალეობად,
იგი მუდმივად იზრდებოდა... მე შემიყვარდი პირ-
ველად დაგინახე თუ არა, უფრო ძრიელ შემიყვარ-
დი, როდესაც გავხდი შენი მეუღლე და უფრო
ძალიან, როდესაც შენი ბავშვების დედა შევიქენი.

შილიბე, ცოცხალია ხომ ის, ვინც მე სიცოცხლე
მომანიჭა, სცოცხლობენ ჩემი ბავშვებიც, და ზეცა-
შია ის, ვისაც თვისი სისხლით დაუხსნია კაცობრი-
ობა. შემისმინე და შემიბრალებ მე უბედური: სი-
ყვარული მეუღლისა უფრო ძლიერია ჩემში, მინემ
სიყვარული ქალიშვილისა, დედისა და ქრისტიანი-
სა! მე ვიცი—რომ ეს შეცოდებაა: მე ამითი ვგმობ
ბუნებასა და ღმერთსა, ზეცა მე ამისთვის დამსჯის,
მაგრამ ვაჰმე, ამითი მე ვერ მოვრჩები.

მეფე. შენმა ნაზმა სიტყვებმა ჩააღწიეს ჩემი
გულის სიღრმეში. ისინი მამბედინებენ გთხოვო—
მომცეთ ნება—ბურგოსშიც და შალიადელიდშიც
განვაგებდე მე სახელმწიფოს, რომელიც ორივეს
გვეკუთვნის.

დედოფალი. მე დედოფალი ვარ! ჩემი დედის
იზაბელის გვირგვინის ტარება ნიშნავს ჩემს ბატო-
ნებას მეფეებზედა. მაგრამ იცოდე რომ მე მძულს
ეს დიდება, მე ეს არაფრად მიმაჩნია იმ გრძობა-
სთან შედარებით, რომლითაც მდიდარია ჩემი გუ-
ლი. აღმასის გვირგვინის მაგივრად მამეცი შენი



ხელით შეკრული ყვავილის კონა. მეფის პალატის მაგიერ, სადაც გარს აუარებელი ხალხი გვარტყია, მომეცი დავრდომილი ქოხი, სადაც მარტოდ-მარტო ჩვენ ჩვენი შეილებით ვიცხოვრებთ. თვალ-მიუცდომელი სახელმწიფოების მაგიერად, მამეცი პატარა მინდორი, ცოტაოდენი ნაყოფი და საფლავი, სადაც შეგვეძლება ერთად განვისვენოთ ძლიერების და სახელას მოხვეჭის მაგიერ—მომეცი მე შენი სიყვარული და მაშინ დავიჯერებ, რომ მე შენდობილი ვარ და სალხინებელიდგან სამოთხეში გადაესულვარ.

მეფე. ჩემო ძვირფასო ხუანა!

დედოფალი. ჩემს თვალებს ბევრჯელ გამოსცხადებია განუზომელ სივრცეში პატივსაცემი აჩრდილი დედაჩემის იზაბელასი. მართი ხელით იგი ერთს ქვეყანაზე მანიშნებდა, მეორეთი—მეორეზე.... მე ვხედავ იმათ ერთი-ერთმანერთს ალერსში. მართი იმათვანი კერძავს თავის ძმას საკუთარი ქალწულებითი ნიადაგის სამკაულს, მეორე ამ საჩუქრისათვის უგზავნის ძრისტეს დიდებულს სახელს და თვის სარწმუნოებას. მე მესმის დედოფალი იზაბელას ხმა, იგი ამას მეუბნება: გქონდეს ხსოვნაში შენი საღმრთო მოვალეობანი; და შენ მე მესხომებო, გიყვარდეს შენი ხალხი, და შენ მე მეყვარები, გაუფთხილდი ჩემს სამკვიდრებელს, გააერცვლე იგი; და თუ შეიძლება გაანათლე, შეადგინე და დაიფარე იგი. ჩემი გული კი ამას უპასუხებს, რომ მთელ

ჩვენ სამფლობელოში მე ერთად ვნებო. შენანებული დედოფალი, მაგრამ მეტირება, როგორც შეყვარებულ დედაკაცს. სხვა რაღა ვითხრა კიდევ? ანგელოზი რომ ჩამოვიდეს ზეციდან და მითხრას: «ჩემს ხელშია საშუალება მოგსპო ყველა შენი ტანჯვანი, დავამსხვრიო ბორკილი, რომლითაც შებოჭვილი ხარ და დაგიბრუნო წარსული ქალწულობითი წელიწადები». იმას დაუყონებლივ ამას ვეტყვი: არა, არა, ათასჯერ არა... მე მინდა ვიყვე მეუღლე შილიპესი! მე მინდა მიყვარდეს იგი, თუ გინდაც რომ იმას ვეჯავრებოდე, მე მინდა ვიტანჯო და ისე მოგვედე, ისე, რომ იგი ჩემს საკუთრებად მეგულებოდეს.

მეფე. დამშვიდდი და მოიწმინდე ეგ შენი მარგალიტი ცრემლები.

დედოფალი. იგინი სიხარულისანი არიან.

მეფე. ღმერთსა ვთხოვ, რომ შენ თვალზე სხვა ცრემლი არ დამენახოს. დონ-ხუან მანუელი მელის. მე კიდევ გნახამ და გამოკემ შეიღები.

დედოფალი. წაღა, წადი, ჩემო შილიპე!

მეფე. (შიდის და ისევ ბრუნდება) მამ მაძლევ სიტყვას, რომ მაგ-გვარ ეჭვიანობას თავს დაანებებ?

დედოფალი. მაძლევ.

მეფე. (თავისთვის) ოჰ, ჩემს ურცხოებას საიდუან-ლა ვაჟექსე!

აღ. ნა—თ—მე.

(გაგრძელება იქნება)

რედაქტორი და გამომცემელია გ. აბაშიძე.

ქართული თეატრი
18 85
ოთხშაბათს, 27 ნოემბერს



ბენეფისი
გ. აბაშიძისა
წამოდგენილი იქნება:

I
ახლანდელი სიუჟარული
სომელია 4 მოქმედი, გადმოკ.

II
ახალი
ჰერკულიანი
მოდელილი 1 მოქმედებად.

III
დღვერტისმანტი
რომელშიაც მიაღებენ მოხაწილეობას
სხვათა შორის ვ. ნინო ორბელიანისა
და თ. ავაკი წერეთელი.
დღვერტის ფასი ჩვეულებრივია.
დასაწმინი 8 საათზე.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
„КАВКАЗЪ“

на 1886 годъ (41-й годъ издания).

Въ 1886 году газета „КАВКАЗЪ“ будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

съ доставкою въ Тифлисъ.	СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ
по Имперіи	по почтовому союзу
На годъ . . . 11 р. 50 к.	13 р. 18 р. 40 к.
„ полгода. 6 р. — „	7 р. 10 р. — „
„ 3 мѣсяца. 3 р. 50 „	4 р. 6 р. — „
„ 1 мѣсяць. р. 50 к.	2 р. 1 р. — „

Подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы. домъ Ротинава. Для иногор. адресовать: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ“